2026 წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე,
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებულ აბიტურიენტთა მიერ
ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია და წარდგენის ვადები

**2026 წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე,
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებულ აბიტურიენტებმა ჩასარიცხად დოკუმენტაცია
კოლეჯში წარმოადგინეთ 2 სექტემბრიდან 2026 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით (09:30 საათიდან 18:30 საათამდე).
გთხოვთ, არ გადააცილოთ დადგენილ ვადას, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი განაცხადი არ განიხილება.**

აბიტურიენტმა კოლეჯში უნდა წარმოადგინოს:

1. *აბიტურიენტის, შეზღუდულ ქმედუნარიანი/ მხარდაჭერის მიმღები აბიტურიენტის შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;*
2. *აბიტურიენტის, შეზღუდულ ქმედუნარიანი/ მხარდაჭერის მიმღები აბიტურიენტის შემთხვევაში, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;*
3. *არასრულწლოვანი აბიტურიენტის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი;*
4. *2 ცალი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3x4-ზე;*
5. *საბაზო საფეხურის/სრული ზოგადი/უმაღლესი/პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, მასთან გათანაბრებული დოკუმენტი (ცნობა საბაზო/სრული ზოგადი საფეხურის დაძლევის/პროფესიული კვალიფიკიციის ან აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ) ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საბაზო ზოგადი განათლების/სრული ზოგადი განათლების მიღების საფუძველზე გადაეცა.*
6. *უცხოეთში და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;*
7. *1.5. და 1.6. პუნქტებში მითითებული დოკუმენტების არქონის ან არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში აბიტურიენტი ვალდებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვიდან 3 თვის ვადაში წარმოადგინოს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მასთან გათანაბრებული დოკუმენტი ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საბაზო ზოგადი განათლების/სრული ზოგადი განათლების მიღების საფუძველზე გადაეცა. მითითებულ ვადაში აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი;*
8. *კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);*
9. *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);*
10. *17 წელს მიღწეული პირის (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი.*

ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას მატერიალური სახით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აბიტურიენტი/კანონიერი წარმომადგენილი ობიექტური მიზეზის გამო (ჯანმრთელობის მდგომარეობის და ან/და სხვა ფორსმაჟორული მდგომარეობის/გარემოების გამო) ვერ ახერხებს ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის მატერიალურად წარმოდგენას. ჩასარიცხად გაწერილი დოკუმენტაცია ელექტრონული სახით გადმოგზავნილ უნდა იქნას კოლეჯის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: profgldaniedu@gmail.com.

აღნიშნული დოკუმენტების დადგენილ ვადაში წარუდგენლობა ან არასრულყოფილად წარდგენა გახდება აბიტურიენტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

სწავლის დაწყების თარიღია არაუგვიანეს 1 ოქტომბერი
კონკრეტული თარიღი მოგვიანებით განთავსდება კოლეჯის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ან მობრძანდით მისამართზე:
ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44, გლდანი, მე-5 და მე-6 მ/რაიონებს შორის, ტელ: 2140314, 2140315